186
1975/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1975 წ.

12958

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი-ოქტომბერი 1975 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის შესახებ
68. დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალი მეთოდების საწარმოო გამოცდების ორგანიზაციის შესახებ
69. საქართველოს სსრ სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

70. აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „აფხაზავტოტექმომსახურების“ შექმნის შესახებ
71. ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის დამატებითი შეზღუდვის დაწესების შესახებ
72. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსათვის ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა მეურნეობების დაქვემდებარების შესახებ
73. საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო მანდარინის საცალო ფასების შესახებ
74. ტყემლის შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ

ქ. მარქსის სახ. სექ. სსრ
საბელმწიფო ბიბლიოთეკა

75. უმაღლეს სასწავლებლებში იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით დარგში პროექტორების და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დირექტორის მოადგილეების თანამდებობათა შემოღებისა და მათი სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფის შესახებ

76. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

77. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მექანიზებული რაზმების საწარმოო მომსახურებაზე გადასულ კოლმეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების შესახებ

78. საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშამოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67 საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის შესახებ

მიაჩნიათ რა, რომ სახალხო განათლების დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა დროულად უზრუნველყოფა სასკოლო სახელმძღვანელოებით და თანდათან ამ სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უფასო მომარაგებაზე გადასვლა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1976/77 სასწავლო წლიდან დაიწყოს სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა და რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლენი უფასოდ უზრუნველყოს სახელმძღვანელოებით (საბიბლიოთეკო ფონდების საშუალებით).

არ გამოჰყოს მოსამზადებელი და პირველი კლასების სახელმძღვანელოთა ფონდები, ხოლო ამ კლასების მოსწავლენი ყოველწლიურად უფასოდ უზრუნველყოს ახალი სახელმძღვანელოებით.

სკოლებში საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა და მათი შევსება სტაბილური სახელმძღვანელოებით განახორციელოს კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადასვლის დროს გამოყენებულ სახელმძღვანელოთა შეგროვების გზით (მშობელთა თანხმობით), აგრეთვე იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც ამ მიზნისათვის გამოჰყოფენ შეფი საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, პროფკავშირული, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციები.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რომ ყოველწლიურად დააწესოს საჭირო თანხა, რომელიც შეფმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და შევსებისათვის და თავი მოუყაროს ამ სახსრებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებებში.

დადგინდეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და შევსებისათვის განკუთვნილი სახსრების ნაშთი კალენდარული წლის დამლევს არ უქმდება და შეიძლება მისი გამოყენება მომდევნო წლებში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ინსტრუქცია სასკოლო სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შესაქმნელად შეფი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის წესის შესახებ.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი სასკოლო სახელმძღვანელოების გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების გაუმჯობესებისათვის;

— სასკოლო სახელმძღვანელოების მრავალგზის გამოყენების საჭიროების გათვალისწინებით განახორციელოს ღონისძიებანი სახელმძღვანელოების ყდის გაუმჯობესებისა და მაღალი ხარისხის ქაღალდზე მათი ბეჭდვისათვის;

— დაზოგილი ქაღალდის ხარჯზე გაზარდოს სასწავლო-მეთოდიკური და კლასგარეშე კითხვისათვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურის გამოცემა;

— ორი წლის მანძილზე გამოსცეს სახელმძღვანელოები თითოეული კლასის საბიბლიოთეკო ფონდისათვის იმ ანგარიშით, რომ მოსწავლეთა კონტიგენტთან შედარებით იყოს სახელმძღვანელოთა ეგზემპლარების 200 პროცენტი — 4-5 წლის მანძილზე მათი გამოყენების გათვალისწინებით.

6. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ შესაბამისი ორგანიზაციული მუშაობა გასწიონ საწარმოების, პროფკავშირული, კოოპერაციული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შორის სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შესაქმნელად სახსრების გამოყოფის საკითხზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 7 ოქტომბერი, № 626

68 დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალი მეთოდების საწარმოო გამოცდების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ფართოდ ხორციელდება ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო დაცვა სპეციალური სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტებისა და საზენიტო ჭურვების გამოყენებით.

სეტყვასაშიშ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების შედეგად დასაცავი ტერიტორიის ცალკეულ რაიონებში შეიმჩნევა ვენახებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნარგავებზე სეტყვის დამღუპველი გავლენის ერთგვარი შენელება.

მაგრამ, როგორც ცხადყო რამდენიმე წლის პრაქტიკამ, ზარალი, რომელსაც აყენებს სეტყვა რესპუბლიკის მევენახეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, განსაკუთრებით კახეთის რაიონებში, ჯერ კიდევ ძალზე დიდია და ათეულ მილიონობით მანეთს აღწევს.

საქართველოს სსრ სახდაზღვევის მონაცემებით, 1968-1971 წლებში (სანამ ყინვა დააზიანებდა) მარტო რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სეტყვამ დააზიანა 36 ათასი ჰექტარი ვენახები, რამაც გამოიწვია 100 ათას ტონამდე ყურძნის დანაკარგი. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ მევენახეობას 1974 წელს, როცა დანაკარგმა შეადგინა 61 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

დასეტყვის შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად ზარალობენ დაახლოებით 30 მილიონ მანეთს, ხოლო მეღვინეობის მრეწველობას აკლდება 80 მილიონ მანეთზე მეტის მთლიანი პროდუქცია.

ანიჭებენ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხიანი მეღვინეობის შემდგომ განვითარებას და დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებათა გამონახვას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

— საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძალებით მოაწყოს ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა და იმ ტექნიკურ საშუალებათა საწარმოო გამოცდები, რომლებიც რეკომენდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ, და ამისათვის გაითვალისწინოს დამატებითი დაფინანსება:

— 1976 წელს დაიწყოს ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის ცდები ყველაზე სეტყვასაშიშ მეურნეობებში, როგორიცაა ყვარლის რაიონის ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, გურჯაანის რაიონის შრომის მევენა-

ხეობის საბჭოთა მეურნეობა, თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობა და გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა;

— ცდების მოწყობის მეცნიერულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მევენახეობის აგროტექნიკის განყოფილებაში შეიქმნას დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ტექნიკურ საშუალებათა საწარმოო გამოცდებისა და დანერგვის სექტორი არსებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1976 წლის პირველი კვარტალის გეგმაში გაითვალისწინოს მიზნობრივი დანიშნულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა საწარმოო ცდების მოსაწყობად დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" ერთ-ერთ თავის საწარმოში ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მოწონებული სქემებით ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის საწარმოო გამოცდისათვის განკუთვნილი კონსტრუქციების დამზადება, მათი მთლიანი დაკომპლექტება და რაიონების მეურნეობებში მიტანა 1976 წლის 1 თებერვლისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას გამოუყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთი ტონა კაპრონის მკედი.

5. დაევალოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უზრუნველყოს 1976 წლის პირველ კვარტალში 40 ათასი კვადრატული მეტრი (ოთხი ტონა) კაპრონის სეტყვასაწინააღმდეგო ბადის დამზადება და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკისათვის" გადაცემა.

6. დაევალოს პარტიის კომიტეტის, თელავის, გურჯაანისა და გარდაბნის რაიკომებს და ამ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სათანადო დახმარება გაუწიონ მეურნეობებს სეტყვისაგან ვენახების დაცვის ტექნიკურ საშუალებათა გამოცდების ორგანიზაციაში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატური კონტროლი დაუწესოს ამ დადგენილების შესრულებას და შედეგები პერიოდულად აცნობოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 7 ოქტომბერი, № 627

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 627 დადგენილების დანართი

მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა

ვენახების სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის მასალებზე

	ზომის ერთეული	რაოდენობა	ვის გამოეყოფა
1. წყალგაზგამტარი მილები	ტონა	27,0	საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს
2. შავი ლითონების ნაგლინი — სულ	„	7,3	„
აქედან:			
მსხვილსორტული ფოლადი . .	„	4	„
წვრილსორტული ფოლადი . .	„	3,3	„
3. გრეხილი კაპრონის ძაფი № 64/1 .	„	3,0	„
4. ავტომანქანა უაზ-469 . . .	ცალი	1	„

69 საქართველოს სსრ სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოციალისტური ეკონომიკის განვითარება და საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის ზრდა ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას. სამეურნეო კანონმდებლობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ზრდას და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მისი ეფექტიანობის ამაღლებას ეკონომიკის დარგში პარტიის საპროგრამო მოთხოვნების შესაბამისად.

ამ ბოლო წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისა და სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად განახლდა კანონმდებლობა. საერთო საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკაში მიღებულია სამოქალაქო, სამოქალაქო-პროცესუალური, საქორწინო-საოჯახო, მიწის, წყლის კოდექსები, საქართველოს სსრ შრომის კანონების კოდექსი, აგრეთვე სახელმწიფო ნოტარიატის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და სხვა კანონები. გამოსაცემად მზადდება საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზებული კრებული.

ამასთან ერთად სამეურნეო კანონმდებლობა ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ამოცანებს, რადგან იგი შედგება დიდძალი აქტებისაგან, რომლებიც ეხება ერთსა და იმავე საკითხებს და მიღებულია სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე. ბევრი აქტი მოძველდა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან ერთმანეთთან არ არის შეთანხმებული. გაუმართლებლად ბევრია უწყებრივი ნორმატიული აქტები. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ახალი აქტების პროექტების შედგენისას, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ წინადადებებს ერთდროულად წინათ დადგენილი ნორმების გაუქმებისა თუ შეცვლის შესახებ, რის შედეგად ბევრი აქტი და ცალკეული ნორმები, რომლებსაც მნიშვნელობა აღარ აქვთ და ფაქტიურად მათ არ იყენებენ, ფორმალურად გაუქმებული არ არის. ხშირად საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები შეიცავენ გაუმართლებელ შეზღუდვებსა და წვრილმან რეგლამენტირებას, რაც ბოჭავს საწარმოთა და ორგანიზაციათა ინიციატივას, ხოლო სამეურნეო საქმიანობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები ჯერაც არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო წესით. სამეურნეო კანონმდებლობის ასეთი მდგომარეობა აძნელებს მის გამოყენებას, არ შეესაბამება სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანებს და, საბოლოო ანგარიშით, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ამ ბოლო წლებში იურიდიული სამსახური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ორგანიზებულად განმტკიცდა. 1971-

1975 წლებში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იურისკონსულტთა საშტატო რაოდენობა 426 ერთეულით გაიზარდა და ამჟამად 826 კაცს შეადგენს.

იურიდიული სამსახურები (სამმართველოები, განყოფილებები) შეიქმნა სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, სადაც ჯეროვნად აფასებენ სამართლებრივი მუშაობის როლსა და მნიშვნელობას, მიაღწიეს იმას, რომ გაიზარდა იურიდიული სამსახურების გავლენა წარმოების ეფექტიანობაზე, გაძლიერდა პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო, საგეგმო, სახელშეკრულებო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

მაგალითად, 1974 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში იურიდიული სამსახურების მიერ შედგენილი განცხადებების საფუძველზე დაკმაყოფილებულია 876.544 მანეთის მოთხოვნები, კოლმეურნეობათა სასარგებლოდ ანაზღაურებულია 4.985.863 მანეთის სადებიტორო დავალიანება; იურიდიული სამსახურების დახმარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდათ 140 ჰექტარი უკანონოდ მითვისებული მიწები და სხვ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 14 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში დასახულ ამოცანათა შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისათვის, აგრეთვე სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისა და უწყებრივი ნორმატიული აქტების მოწესრიგებისათვის რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მრავალგზის მითითების მიუხედავად, იურიდიული ქვედანაყოფები არ შექმნილა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არც ერთ სახელმწიფო კომიტეტში, მთავარ სამმართველოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში.

სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ წინადადებათა მომზადებას დარგობრივი კანონმდებლობის

სრულყოფისა და უწყებრივი ნორმატიული აქტების მოწესრიგების შესახებ. ამ მიზნით შექმნილი კომისიები ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ, ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების დონეზე, უწყებრივი ნორმატიული აქტების მოწესრიგებაზე.

„სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 ივნისის № 558 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ უახლოეს წლებში განხორციელდეს სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში მისი როლის გაძლიერების ღონისძიებანი; ამ მუშაობის დროს უპირველეს ამოცანად იქნეს მიჩნეული ერთსა და იმავე საკითხებზე არსებული სამართლებრივი აქტების სიმრავლის, მათში არსებული წინააღმდეგობების, შეუთანხმებლობის, იმ დაუსაბუთებელი შეზღუდვებისა და წვრილმანი რეგლამენტირების აღმოფხვრა, რომლებიც ბოჭავენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინიციატივას.

2. დადგინდეს, რომ სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისა და უწყებრივი ნორმატიული აქტების მოწესრიგების შესახებ წინადადებათა მომზადება საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფა უნდა წარმოებდეს უწინარეს ყოვლისა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: დაგეგმვა, კაპიტალური მშენებლობა, სახალხო მეურნეობის დაფინანსება და დაკრედიტება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მოამზადონ წინადადებანი აღნიშნული ძირითადი მიმართულებებით კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ და 1976 წლის 1 ივნისამდე წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ მთავარმომარაგების, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა წინადადებების საფუძველზე შეიმუშაოს უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა მომზადების უახლოესი 2-3 წლის გეგმა და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

იმ მიზნით, რომ სამინისტროები და უწყებები უზრუნველყოფილ იქნენ მოქმედი კანონმდებლობითა და მასალებით, რომლებიც საჭიროა საეურხეო კანონმდებლობის კოდიფიკაციის სამუშაოთა ჩასატარებლად, დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის საძინისტროს მოამზადოს და 1975-1980 წლებში გამოსცეს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამიხისტროს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა წინადადებების გათვალისწიხებით მოაძზადოს საქართველოს სსრ საეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის სამუშაოთა გეგმების პროექტები, კოორდინაცია გაუკეთოს სამინისტროთა და უწყებათა მიერ გეგმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას, მეთოდიკური დახმარება გაუწიოს მათ, გეგძების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ამ მუშაობაში და კონტროლი გაუწიოს სამიხისტროთა და უწყებათა მიერ აღნიშნული გეგმების შესრულებას.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის საჭირო დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ სამეცნიერო დაწესებულებათა მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების მეთოდიკური წესები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შემოიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებანი იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია იუსტიციის სამინისტროსათვის დამატებით დაკისრებულ ფუნქციათა შესრულების უზრუნველყოფასთან და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან.

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მთავრობის ახალ გადაწყვეტილებათა პროექტების განსახილველად შეტანასთან ერთად, როგორც წესი, წარმოადგინონ წინადადებანი ადრე მიღებული აქტების გაუქმებისა თუ შეცვლის შესახებ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოსცენ სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტები:

— არა უგვიანეს 1977 წლისა გადასინჯონ მათ მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები იმ მიზნით, რომ აღმოფხვრან ამ აქტებში არსებული წინააღმდეგობანი, მოძველებული ნორმები, აგრეთვე გააერთიანონ ერთსა და იმავე საკითხებზე სხვადასხვა დროს გამოცემული აქტები და შემდგომში არ დაუშვან მათი სიმრავლე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკაცრი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ მათ მიერ გამოცემული აქტები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, უზრუნველყონ ახალი და წინათ მიღებული აქტების შეთანხმება, დროულად შეიტანონ ამ აქტებში კანონმდებლობიდან გამომდინარე ცვლილებანი;

— უზრუნველყონ მათ მიერ დამტკიცებული აქტების გამოყენების პრაქტიკის სისტემატური შესწავლა და გეგმაზომიერად აწარმოონ მუშაობა მათი სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მუშაობა გასწიონ უწყებრივი ნორმატიული აქტების მოწესრიგებისათვის და 1976-1977 წლებში დაამთავრონ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მოქმედი ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა ნორმატიული აქტების კრებულების (ნუსხების) გამოცემა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს და 1975 წელს დაამტკიცოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული აქტების მომზადების რეკომენდაციები.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ მათ მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სრულყოფის საკითხი, კერძოდ, გაითვალისწინონ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო ინიციატივის დაუსაბუთებელი შეზღუდვებისა და მათი საქმიანობის წვრილმანი რეგლამენტირების აღმოფხვრა.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაში იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო რაოდენობით მოამზადონ მაღალკვალიფიციური იურისტები, აგრეთვე სამეურნეო კანონმდებლობის საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის 1976-1980 წლებში გამოცემის გრაფიკი იმ ანგარიშით, რომ წელიწადში გამოვიდეს 4 ტომი, და უზრუნველყოს ამ გრაფიკის ზუსტად შესრულება.

10. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა, რათა ყველა სამეურნეო ორგანიზაცია იცავდეს კანონმდებლობას და რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ზუსტად შეესაბამებოდეს საკანონმდებლო აქტებს, სსრ კავშირის მინის-

ტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებს.

11. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 25 ივნისის № 558 დადგენილებით საჭიროდ ცნეს:

ა) შემოიღონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, აგრეთვე მოაწყონ ასეთი აქტების შესახებ ცენტრალიზებული ინფორმაცია და ამ მიზნებისათვის სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საბჭოთა კანონმდებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შექმნან ინფორმაციის ძიებისა და გაცემის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი;

ბ) სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების, სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების პრაქტიკის, სახელმწიფო არბიტრაჟებისა და სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის ფართოდ გაშუქების, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით 1976 წელს დაიწყოს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის ჟურნალის „ხოზიაისტვო ი პრავოს“ გამოცემა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 7 ოქტომბერი, № 634

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

70 აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „აფხაზავტოტექმომსახურების“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და შეიქმნას 1975 წლის 1 ოქტომბრიდან აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების საწარმოო გაერთიანება „აფხაზავტოტექმომსახურება“ ქ. სოხუმისა და გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების ავტოტექმომსახურების სადგურების ბაზაზე, ამასთან გაუქმდეს აღნიშნული ავტოტექმომსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სადგურები როგორც დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები.

საწარმოო გაერთიანება „აფხაზავტოტექმომსახურება“ შეიქმნას აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის 1975 წელს მმართველობის აპარატის შესანახად დამტკიცებული ზღვრული ასიგნებების, ხელფასის ფონდისა და მუშაკთა რიცხოვნობის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 10 სექტემბერი, № 569

71 ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის დამატებითი შეზღუდვის დაწესების შესახებ

მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის შემცირების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი და დაწესდეს 1975 წლის 1 ნოემბრიდან ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარის დამატებითი შეზღუდვა და განხორციელდეს სხვა დამატებითი ღონისძიებანი, დანართის თანახმად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 12 სექტემბერი, № 574

ეროვნული ბიბლიოთეკა

12958

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 12 სექტემბრის № 574
დადგენილებით

ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი

ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის დამატებითი შეზღუდვის დაწესებისა

1. დაწესდეს 1975 წლის 1 ნოემბრიდან ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის დამატებითი შეზღუდვა გზებზე დასახლებული პუნქტების გარეთ, სადაც მოძრაობის სიჩქარე შეზღუდული არ არის საგზაო ნიშნებით:

მსუბუქი ავტოტრანსპორტისათვის — 80 კილომეტრი საათში, ავტობუსებისათვის — 70 კილომეტრი საათში, სატვირთო ავტოტრანსპორტისა და მოტოციკლებისათვის — 60 კილომეტრი საათში;

მძღოლთათვის, რომელთაც აქვთ ავტომობილის ტარების ორ წელზე ნაკლები სტაჟი, — 60 კილომეტრი საათში;

სატვირთო ავტომობილებისათვის, რომლებითაც ხორციელდება დიდწონიანი და არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა, ავტოამწეებისა და სხვა თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმებისათვის — 50 კილომეტრი საათში.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში გამოიკვლიონ რესპუბლიკის მთავარი საავტომობილო გზები და დააყენონ მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდველი შესაბამისი საგზაო ნიშნები ამ დადგენილების მოთხოვნებისა და კონკრეტული საგზაო პირობების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს მოძრაობის სიჩქარის შემზღუდველი ნიშნების ნიმუშები სატვირთო ავტომობილებისათვის, ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომობილებისათვის, რომელთა მძღოლებს აქვთ ორ წელზე ნაკლები სტაჟი, ხოლო რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მქონე სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა 1975 წლის 20 ოქტომბრამდე უზრუნველყონ შესაბამისი ნიშნების დასმა ავტომობილის ძარებზე სახელმწიფო ავტოინსპექციის მოთხოვნების თანახმად.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

ა) აკრძალოს 1975 წლის 1 ნოემბრიდან ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთაც არა აქვთ სიჩქარის შემზღუდველი შესაბამისი ნიშნები, ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის მოთხოვნების თანახმად;

ბ) მიიღოს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მკაცრი სასჯელის ზომები იმ მძღოლთა მიმართ, რომლებიც დაუშვებენ ამ დადგენილებით დაწესებული ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვის გადამეტებას.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უზრუნველყოს მოძრაობის სიჩქარის შემზღუდველი ნიშნების დასმა ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქ ავტომობილებზე ამ დადგენილების შესაბამისად მათთვის გათვალისწინებულ ვადებში

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყონ ამ დადგენილების მოთხოვნების შესრულება ყველა საქვეუწყებო ავტომეურნეობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელების მიერ, ამასთან განახორციელონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებთან და ინდივიდუალურ მფლობელებთან.

7. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად უზრუნველყოს ამ დადგენილების მოთხოვნების გაცნობა ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

8. რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გამოაქვეყნონ და გადასცენ ამ დადგენილების ტექსტი. აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად მოაწყონ აღნიშნულ საკითხზე სისტემატური ინფორმაციის ბეჭდვა და გადაცემა.

I————————I

72 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსათვის ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა მეურნეობების დაქვემდებარების შესახებ

განლაგების რაიონებთან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის გაწევის მიახლოების და ამ საქმეში ოპერატიულობის მიღწევის, აგრეთვე ავტონომიური ოლქის საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური განმტკიცების, ადგილობრივი რესურსების უფრო სრული და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადა-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და ექსპერიმენტის წესით დაექვემდებაროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სისტემის 10 საბჭოთა მეურნეობა, დანართის თანახმად.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველომ განახორციელოს ხელმძღვანელობა საბჭოთა მეურნეობებისადმი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებების თანახმად.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) განახორციელოს საბჭოთა მეურნეობების გადაცემა 1975 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მიმდინარე წლისათვის დაწესებულ გეგმებთან ერთად;

ბ) დამატებით გამოუყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს საშტატო ერთეულები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში;

გ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აპარატის შენახვა განახორციელოს, როგორც გამონაკლისი, სამეურნეო ანგარიშზე და ბიუჯეტის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 16 სექტემბერი, № 576

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 16 სექტემბრის № 576
დადგენილების დანართი

ნუსხა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაქვემდებარებაში

ცხინვალის რაიონი

1. თამარაშენის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
2. ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
3. არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა

ჯავის რაიონი

4. წონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
5. ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა

ზნაურის რაიონი

6. ბეყმარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
7. ველეების მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა
8. ზნაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა

ლენინგორის რაიონი

9. ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
10. ზახორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

73 საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო მანდარინის საცალო ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან (1974 წლის 4 სექტემბრის № 10-59/1643 წერილი), და დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკის

ტერიტორიაზე სარეალიზაციო 1975 წლის მოსავლის მანდარინის საცალო ფასი კილოგრამში 1 მანეთისა და 10 კაპიკის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 26 სექტემბერი, № 593

74 ტყემლის შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და ცეკავშირთან, და ტყემლის დამზადების რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შემოღებასთან დაკავშირებით დაწესდეს 1975 წლის 1 ოქტომბრიდან ხარისხოვანი ტყემლის შესასყიდი ფასი 200 მანეთი და უხარისხო ტყემლისა — 100 მანეთი ტონაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და ცეკავშირს შორის წარმოქმნილი საანგარიშსწორებო დავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 26 სექტემბერი, № 600

75 უმაღლეს სასწავლებლებში იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითი დარგში პროორექტორების და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დირექტორის მოადგილეების თანამდებობათა შემოღებისა და მათი სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი შუამდგომლობა და შემოღებულ იქნეს 15 უმაღლეს სასწავლებელში — იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითი დარგში პროორექტორების, სტუდქალაქში — სამმართველოს უფროსის მოადგილის და 30 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — დირექტორის მოადგილეების თანამდებობანი იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითი დარგში, სულ — 46 საშტატო ერთეული, მათ შორის: საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით — 11 უმაღლესი სასწავლებლის პროორექტორი, 1 — სტუდქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილე და 24 — საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხაზით — 3 უმაღლესი სასწავლებლის პროორექტორი და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით — 1 უმაღლესი სასწავლებლის პროორექტორი და 6 — საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე.

ამასთან დაკავშირებით მმართველობის აპარატის შესანახი ხარჯების ზღვრული ასიგნებანი დაუმტკიცდეთ 1975 წლის 1 აგვისტოდან წლის ბოლომდე:

— საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს —32,2 ათასი მანეთი, აქედან ხელფასის ფონდი — 30,5 ათასი მანეთი, წლიურზე გაანგარიშებით — 77,1 ათასი მანეთი, მათ შორის ხელფასის ფონდი — 73,1 ათასი მანეთი;

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს — 4,5 ათასი მანეთი, აქედან ხელფასის ფონდი — 4,2 ათასი მანეთი, წლიურზე გაანგარიშებით — 10,6 ათასი მანეთი, მათ შორის ხელფასის ფონდი — 10,1 ათასი მანეთი.

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — 7,8 ათასი მანეთი, აქედან ხელფასის ფონდი — 7,4 ათასი მანეთი, წლიურზე გაანგარიშებით — 18,7 ათასი მანეთი. მათ შორის ხელფასის ფონდი — 17,7 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 ოქტომბერი, № 615

76 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„148. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის კუთვნილი საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 ოქტომბერი, № 616.

77 რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მექანიზებული რაზმების საწარმოო მომსახურებაზე გადასულ კოლმეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოო მომსახურებაზე გადასულ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მექანიზებულ რგოლებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 29 მაისის № 290 დადგენილებით დამტკიცებული „რეკომენდაციები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების შესახებ“.

2. „საქსოფლტექნიკის“ მექანიზებული რგოლების მიერ ზეგეგმითი მოსავლის მიღებისათვის რგოლის წევრთა პრემირება მოხდეს უშუალოდ კოლმეურნეობების მიერ, მათთვის დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ დააწესონ კონტროლი შრომის სწორი ანაზღაურებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 ოქტომბერი, № 619

78 საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ განუხრელად იზრდება მოცულობა საქონლის ნისიად მიყიდვისა, როგორც საცალო ვაჭრობის ისეთი ფორმისა, რომელიც მყიდველთათვის ყველაზე მოსახერხებელია ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შესაძენად.

1974 წლის მანძილზე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საქონლის ნისიად მიყიდვა 1970 წელთან შედარებით ორნახევარჯერ გაიზარდა და შეადგინა 28,1 მილიონი მანეთი, ანუ გაყიდული არასასურსათო საქონლის საერთო მოცულობის 4,4 პროცენტი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნისიად საქონლის გაყიდვა ეფექტიანია, მისი ორგანიზაციისა და ანგარიშსწორების პრაქტიკაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები არღვევენ ნისიად საქონლის შეძენისათვის საჭირო ცნობების აღრიცხვისა და გაცემის დადგენილ წესს.

ხშირია შემთხვევა, როცა ცალკეულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არღვევენ დადგენილ წესს და ერთ მუშაკს აძლევენ რამდენიმე ცნობას ნისიად საქონლის შესაძენად, მაშინ როცა განმეორებითი ცნობის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მთლიანად დაფარულია წინათ გაფორმებული კრედიტის ვალი.

ზოგიერთ ქალაქში (რაიონში) მოქმედებს იმ საქონლის ორი ნუსხა, რომელიც შეიძლება ნისიად გაიყიდოს: სახელმწიფო ვაჭრობისათვის და სამომხმარებლო კოოპერაციისათვის. ზოგიერთ ნუსხაში შეტანილია საქონელი ბაზრის კონიუნქტურისა და ამ საქონელზე მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.

მთელ რიგ შემთხვევებში ნისიად ჰყიდიან საქონელს, რომელიც ნუსხით არ არის გათვალისწინებული.

იმის შედეგად, რომ მოწესრიგებული არ არის ანგარიშსწორება ნისიად მიყიდული საქონლისათვის, მყიდველებს დროულად არ შეაქვთ გადასახადები და დროულად არ იფარება ვალი, ვადაგასული დავალიანება მარტო 1974 წელს ერთიორად და მეტად გაიზარდა და მიაღწია 1.572 ათას მანეთს, ანუ საერთო დავალიანების 6,7 პროცენტს.

ნისიად მიყიდული საქონლის დავალიანების დაფარვა ძირითადად ხდება ნაღდი ფულის შეტანით, ხოლო ანგარიშსწორება საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ხელფასიდან დაკავებული თანხების გადარიცხვით ძალზე უმნიშვნელოდ არის დანერგილი.

ნისიად ვაჭრობისა და დავალიანების დაფარვის ანგარიშსწორების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და 1975 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მიყიდვის წესის შესახებ.

2. წიხადადება მიეცეს რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ელმძღვანელებს საქვეუწყებო საწარმოებში მოაწესრიგონ ნისიად საქონლის მეძებისათვის საჭირო ცხობების დამზადება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა, აგრეთვე უახლოეს ვადაში გახახორციელონ გადასვლა ნისიად საქონლის მიყიდვის ოპერაციებისათვის სავაჭრო ორგანიზაციებთან უნაღდო ანგარიშსწორებაზე მუშამოსაძსახურეთა ხელფასიდან შესატანების დაკავების გზით.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. მეგრელიშვილი) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან (ამხ. ჯინჯიხაძე) ერთად 1975 წლის 10 ნოემბრამდე წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ცდის სახით თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის ზოგიერთი დიდი სამრეწველო საწარმო გადაიყვანოს სავაჭრო ორგანიზაციებთან ისეთ ანგარიშსწორებაზე, რომელიც შეესაბამება მუშა-მოსამსახურეთათვის ნისიად მიყიდული საქონლისათვის ანგარიშსწორებისა და ამ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სამრეწველო საწარმოთა დაკრედიტების წესის ძირითად დებულებებს.

4. იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედის ნაცვლად ახალი რედაქციით დამტკიცდა ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის ინსტრუქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— ინსტრუქცია სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 ნოემბრის № 679 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 130 დადგენილება „იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ერთ ქალაქში მაგრამ მუშაობენ სხვა ქალაქში“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 241 დადგენილება „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყიდვის წესის შესახებ“ არსებული ინსტრუქციის დანართების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 29 ოქტომბერი, № 650.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 29 ოქტომბრის № 650 დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

1. ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის გაყიდვა ნისიად წარმოებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში სახელმწიფო ვაჭრობის იმ მაღაზიების მეშვეობით, რომლებსაც ამ მიზნისათვის გამოყოფენ ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები, სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების სამმართველოები და განყოფილებები.

2. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოები საქონელს ნისიად მიჰყიდიან, როგორც წესი, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში, სადაც მდებარეობს ნისიად მოვაჭრე მაღაზია, აგრეთვე პენსიონერებს, (არამომუშავეებს), რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამავე ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში.

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ, მაგრამ მუშაობენ სხვა ქალაქში (ქალაქის ტიპის დაბაში), საქონელი ნისიად შეიძლება მიეყიდოთ მხოლოდ მაღაზიებში მყიდველის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) პირდაპირი ანგარიშსწორების პირობებით.

იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ დროებით, სეზონურად ან გამოსაცდელი ვადით, აგრეთვე იმათ, ვინც გაწერილი არ არის მოცემულ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში, საქონელი ნისიად არ მიეყიდებათ.

3. ნისიად გასაყიდი საქონლის ნუსხას დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ზონაში — ცეკავშირის გამგეობა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით.

4. მუშა-მოსამსახურეებს საქონელი ნისიად მიეყიდებათ მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ პასპორტს და მუშაობის ადგილიდან გაცემულ ცნობას საშუალო-თვიური ხელფასის ოდენობის შესახებ (უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში), ხოლო პენსიონერებს — მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ პასპორტს და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების ცნობას პენსიის ოდენობის შესახებ (№ 1 და 2 დანართები).

5. ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ანგარიშსწორება იწარმოებს შემდეგნაირად:

საწარმო, ორგანიზაცია ან დაწესებულება მუშაობის ადგილის მიხედვით დაუკავებს მყიდველს ხელფასიდან და შეპირობებულ ვადებში გადაურიცხავს მორიგ გადასახდელებს შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას);

საწარმოები, სადაც მყიდველები მუშაობენ, გადარიცხავენ სახელმწიფო ბანკის სესხის ხარჯზე მიცემული კრედიტის სრულ თანხას, მყიდველთა ხელფასიდან დავალიანების დაკავების ვადების მიუხედავად;

მყიდველი უშუალოდ შეიტანს ნაღდ ფულს შემნახველ სალაროებში (პენსიონერთათვის) ან სავაჭრო ორგანიზაციის სალაროებში.

მყიდველი გააფორმებს საგადამხდელო დავალება-ვალდებულებას (დანართი № 3) იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელზე, სადაც იგი მუშაობს.

საგადამხდელო დავალება-ვალდებულება შედგება ორ ცალად, რომელთაგან ერთს მყიდველი ჩააბარებს საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას მუშაობის ადგილის მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ანგარიშის გასასწორებლად, ხოლო საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ დამოწმებულ მეორე ცალს წარუდგენს მაღაზიას.

იმ შემთხვევებში, როცა ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მყიდველი ანგარიშს ასწორებს სავაჭრო ორგანიზაციის სალაროებში ან შემნახველ სალაროებში ნაღდი ფულის შეტანის გზით, მაღაზიაში გაფორმდება ვალდებულება № 4 დანართის თანახმად დაწესებული ფორმით.

6. საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებს დაამოწმებენ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, ამასთან მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე იმუშავეს არანაკლებ 6 თვისა, ხოლო ეს დავალება-ვალდებულებანი არ უნდა დაუმოწმონ იმ პირებს, რომლებსაც აღმასრულებელი ფურცლებით ან სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით ეკავებათ ხელფასის 50 პროცენტი.

ხელფასის ან პენსიის (პენსიონერთათვის) ოდენობის შესახებ ცნობების განმეორებით გაცემა და მუშა-მოსამსახურეებისათვის საგადამხდელო დავალება-ვალდებულებათა დამოწმება იწარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გასწორებული ანგარიში იმ საქონლისათვის, რომელიც მათ ნისიად შეიძინეს წინათ გაცემული ცნობებისა და დამოწმებული საგადამხდელო დავალება-ვალდებულებების მიხედვით.

ბლანკები ცნობებისა საშუალო-თვიური ხელფასის შესახებ, რომლებსაც ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები მისცემენ თავიანთ მუშაკებს, და ცნობებისა პენსიის ოდენობის შესახებ, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მისცემენ პენსიონერებს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (საწარმოებისათვის) წარსადგენად საქონლის ნისიად ყიდვის მიზნით, აღრიცხება მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტების თანაბრად.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დოკუმენტური რევიზიების ჩატარებისას შემოწმდება, თუ რამდენად სწორად არის გაცემული ცნობები საქონლის ნისიად შეძენის შესახებ და დროულად გადაერიცხებათ

თუ არა გადასახდელები სავაჭრო ორგანიზაციებს საგადამხდელო დავალებავალდებულებების მიხედვით.

7. მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემათ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გადაიხდიან აღნიშნული საქონლის ღირებულების სულ ცოტა 25 პროცენტს. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი გადახდილ უნდა იქნეს, როგორც წესი, 6, 9 ან 12 თვის განმავლობაში, კრედიტის ვადის შესაბამისად.

ზოგიერთი საქონელი, როგორც გამონაკლისი შეიძლება გაიცეს ნისიად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით თავდაპირველი შესატანის გადაუხდელად და მისი ღირებულების 24 თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადახდის პირობით.

საქონლის ნისიად გაყიდვა 6 თვემდე ნაწილ-ნაწილად გადახდის პირობით წარმოებს იმ თანხის ოდენობით, რაც არ აღემატება მყიდველის ორი თვის ხელფასს (პენსიას), 12 თვემდე — 4 თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში და 12 თვეზე მეტი — 6 თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში.

ისეთი საქონლის ნისიად ყიდვის დროს, რომლის ღირებულება აღემატება კრედიტის ზღვრულ თანხას, განსხვავება საქონლის ღირებულებასა და კრედიტის თანხას შორის მყიდველმა უნდა აანაზღაუროს საქონლის მიღების დროს.

8. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველს გადახდება სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ ფაქტიურად მიცემული კრედიტის თანხის 1 პროცენტი, როცა ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 6 თვემდე, 1,5 პროცენტი — 9 თვემდე, 2 პროცენტი — 12 თვემდე და 2,5 პროცენტი, როცა მისი ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

9. ნისიად გაყიდული საქონლისათვის ანგარიშსწორება იწარმოებს გაყიდვის მომენტში მოქმედი ფასების მიხედვით. ნისიად გაყიდული საქონლის საცალო ფასების შეცვლისას მყიდველებთან გადაანგარშება არ იწარმოებს.

10. ისეთი წესით ანგარიშსწორების დროს, როდესაც მყიდველებს ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ფული უნდა დაუკავდეთ ხელფასიდან მუშაობის ადგილზე, საწარმოთა (ორგანიზაციათა, დაწესებულებათა) ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები მოვალენი არიან დაუკავონ ხელფასიდან მორიგი შესატანები მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მისცეს საგადამხდელო დავალება-ვალდებულებანი, და გადაურიცხონ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს) ვალდებულებით შეპირობებულ ვადებში.

საწარმოები (ორგანიზაციები, დაწესებულებები) სახელმწიფო ბანკის განყოფილებებიდან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების მიღებისას იმავდროულად ჩააბარებენ საგადამხდელო დავალებებს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (მაღაზიებისათვის) იმ თანხების გადარიცხვის შესახებ, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის. ამ საგადამხდელო დავალებებს თან უნდა დაერთოს იმ მუშამოსამსახურეთა სიები (გვარის, სახელის, მამის სახელის აღნიშვნით), რომლებ-

საც ფული დაუკავდათ, ამასთან უნდა აღინიშნოს იმ მაღაზიების დავალება-ვალდებულებათა ნომრები, სადაც მათ შეიძინეს საქონელი ნისიად, დაკავებული თანხა, დავალიანების ნაშთი, ხოლო თუ ასეთი ოპერაციები არ ჩატარებულა, — შესაბამისი ცნობა.

იმ შემთხვევებში, თუ მუშა-მოსამსახურეები დაითხოვეს ან გადაიყვანეს სხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში, დაწესებულებებში), ადმინისტრაცია მოვალეა დაუკავოს მათ საგადამხდელო დავალება-ვალდებულების მიხედვით დარჩენილი დავალიანება მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის და გადაურიცხოს ეს დაკავებული თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას). ამასთან მთელი დაკავებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს.

საქონლის ნისიად მყიდველი მუშა-მოსამსახურის დათხოვნის ან გადაყვანის დროს ადმინისტრაცია მოვალეა ხუთი დღის ვადაში გადაუგზავნოს სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) საგადამხდელო დავალება-ვალდებულების პირველი ეგზემპლარი დათხოვნის ცნობასთან ერთად.

აღნიშნულ შემთხვევებში მყიდველები არ თავისუფლდებიან მორიგი გადასახდელებისაგან და ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) წინაშე იმისათვის, რომ დაფარონ ნისიად ნაყიდი საქონლის დარჩენილი დავალიანება.

11. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი მიიღებენ საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების მიღების დღეებში იმის დავალებებს, რომ გადაურიცხონ სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს) თანხები, რაც მუშა-მოსამსახურეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის, და იმავე დღეს გადარიცხავენ დავალებებში აღნიშნულ თანხებს სავაჭრო ორგანიზაციების (მაღაზიების) სპეციალურ სასესხო ანგარიშებზე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სხვა დაუფარავი გადასახდელები, ხელფასის გარდა, და გადაერიცხათ თუ არა საფინანსო ორგანოებს ხელფასიდან დაკავებული გადასახადთა თანხები.

საგადამხდელო დავალებებზე თანდართული სიები მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც დაუკავდათ მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, გადაეცემათ შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს).

12. თუ დროზე არ იქნა შეტანილი მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, მყიდველს სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) სასარგებლოდ გადახდება საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის გადასახდელები არ იქნა შეტანილი ზედიზედ ორი თვის განმავლობაში, სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) უფლება აქვს მყიდველს იძულებითი წესით გადაახდევინოს ნისიად ნაყიდი საქონლის მთელი დარჩენილი დავალიანება დარიცხულ საურავიანად აღმასრულებელი სანოტარო წარწერით, ხოლო სანოტარო კანტორები მოვალენი არიან გააკეთონ სანოტარო წარწერები მთელ დარჩენილ დავალიანებაზე, დარიცხული საურავის ჩათვლით.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა მყიდველს არ დაუფარავს ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება შეპირობებულ ვადებში საპატიო მიზეზების გამო (დროებითი შრომისუუნარობა, ოჯახის წევრთა ავადმყოფობა ან გარდაცვალება და ა. შ.), სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ განუვადონ მას გადასახდელების შეტანა, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, მას შემდეგ, რაც მყიდველი წარადგენს შესაბამის ცნობას.

13. ნისიად ნაყიდ საქონელზე ვრცელდება სარგებლობის ის საგარანტიო ვადები და გამოცვლის წესი მყიდველის მიერ საქონლის ფაქტიურად მიღების მომენტიდან, რომლებიც დაწესებულია საცალო სავაჭრო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ნაყიდი ასეთივე საქონლისათვის.

14. ერთ მყიდველს ერთდროულად შეიძლება ნისიად მიეცეს რამდენიმე საგანი, თუ მათი ღირებულების თანხა არ აღემატება: როცა ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 6 თვემდე ვადით — მის ორი თვის ხელფასს (პენსიას), 12 თვემდე ვადით — ოთხი თვისას და 12 თვეზე მეტი ვადით — მის ექვსი თვის ხელფასს (პენსიას).

15. საქონლის ნისიად გაყიდვის ოპერაციებისა და გაანგარიშებათა საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს სავაჭრო ორგანიზაციებსა და მაღაზიებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მითითებების თანახმად.

16. საქონლის ყიდვის უფლების შესახებ ცნობების გაცემისა და მათი აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევისათვის, იმისათვის, რომ დროულად დაუკავდეთ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასიდან საგადამხდელო დავალება-ვალდებულებების მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მორიგი შესატანები, გადაერიცხოთ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს), აგრეთვე იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) დროულად შეატყობინონ იმ პირთა დათხოვნა ან სხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში, დაწესებულებებში) გადაყვანა, რომლებსაც აქვთ ნისიად შეძენილი საქონლის დავალიანება, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და მთავარ (უფროს) ბუღალტრებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა.

17. კონტროლს იმისადმი, რომ სწორად იქნეს დაყენებული აღრიცხვა და ცნობების გაცემა, აგრეთვე დროულად იქნეს გასწორებული ანგარიში ნისიად გაყიდული საქონლისათვის, განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 1
ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეებისათვის
ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის
ნისიად მიყიდვის წესის შესახებ
(ფორმა № 38)

_____
(საწარმოს, ორგანიზაციის

_____
დასახელება)

ძალაშია 15 დღის განმავლობაში დღიდან
გაცემისა

197 წ. „ “ _____

ც ნ ო ბ ა

საქონლის ნისიად საყიდლად მაღაზიაში

მიეცა _____,
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომ იგი ნამდვილად მუდმივად მუშაობს _____
_____ თანამდებობაზე და მისი საშუალო
თვიური ხელფასი უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში შეადგენს _____
_____ მანეთს.
(თანხა სიტყვებით)

ცხოვრობს მისამართით: _____
აქვს სერიის № _____ პასპორტი, რომელიც გაცემულია _____
_____ მილიციის განყოფილების მიერ
19 ____ წ. „ “ _____

დავალება-ვალდებულება მოქ. _____
ხელფასიდან დასაკავებლად გაიგზავნოს მისამართით: _____
ქუჩა, სახლი № _____ ტელეფონი _____

ორგანიზაციის ბეჭედი

ხელმძღვანელი _____

მთავარი ბუღალტერი _____

№ 38 ფორმის უკანა მხარე

ცნობას გასცემს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაცია მყიდველის სამუშაო ადგილის მიხედვით ერთ ცალად და ეს უკანასკნელი წარუდგენს სავაჭრო ორგანიზაციას დავალება-ვალდებულებასთან ერთად (ფორმა № 39).

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ ერთდროულად მისცენ მუდმივად მომუშავე პირებს, რომლებსაც სურთ შეიძინონ საქონელი ნისიად, მხოლოდ თითო ცნობა საშუალო-თვიური (უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში) ხელფასის შესახებ. მეორე ცნობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გასწორებულ იქნება ანგარიში პირველი ცნობის მიხედვით ნისიად გაცემული საქონლისათვის.

ნაყიდი საქონლის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს: ორი თვის ხელფასს — ისეთი საქონლის ყიდვისას, რომელზეც დაწესებულია ნაწილ-ნაწილად გადახდა ექვსი თვის განმავლობაში; ოთხი თვის ხელფასს — ისეთი საქონლის ყიდვისას, რომელზეც დაწესებულია ნაწილ-ნაწილად გადახდა თორმეტი თვის განმავლობაში და ექვსი თვის ხელფასს — ისეთი საქონლის ყიდვისას, რომელზეც დაწესებულია ნაწილ-ნაწილად გადახდა თორმეტ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ცნობები არ მიეცემათ მუშა-მოსამსახურეებს:

თუ მათ მოცემულ საწარმოში (დაწესებულებაში) უმუშავიათ ექვს თვეზე ნაკლები;

თუ მათ უკავდებათ ფული აღმასრულებელი ფურცლებით და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით, რაც ხელფასის 50 პროცენტს შეადგენს;

თუ ისინი დათხოვნილ უნდა იქნენ სხვადასხვა მიზეზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2
ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეებისათვის
ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის
ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

შტამპი სოციალური უზრუნველყოფის
ორგანიზაციისა, რომელმაც გასცა ცნობა

ცნობა

მიეცა მოქ. _____ ,
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომ იგი ნამდვილად არის პენსიონერი (არამომუშავე) და იღებს სახელმწიფო

პენსიას თვეში _____ მანეთის ოდენობით
(თანხა სიტყვებით)

_____ ში,
(იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც პენსიას იღებს და მისი საფოსტო მისამართი)

ცნობა გაცემულია საქონლის ნისიად საყიდლად ქალაქ _____

მაღაზიაში და ძალაშია 15 დღის განმავლობაში დღიდან გაცემისა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი _____

მთავარი ბუღალტერი _____

№ 5

დანართი № 3
ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეებისათვის
ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის
ნისიად მიყიდვის წესის შესახებ
(ფორმა № 39)

ცნობა		თვიური შესატანის	უკანასკნელი შესატანის
თარიღი	ნომერი	თანხა	თვე და წელიწადი

დავალება-ვალდებულება № _____

მე, მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

197 წ. „ “ _____ შევიძინე _____
(საწარმოსა და სავაჭრო

_____ ნისიად, გადასახდელის ნაწილ-ნაწილად გადახდით
ორგანიზაციის დასახელება)

_____ თვით და მივიღე დღეს _____
(საქონლის, მასალის

_____ მარკის (არტიკული) _____
დასახელება)

საქარხნო № _____

საქონლის საცალო ფასი _____ მან. _____ კაპ.

შეტანილია ნაღდ ფულად საქონლის მიღებისას ____ % _____ მან. ____ კაპ.

გარდა ამისა, შეტანილია _____ % ნაწილ-ნაწილად.

გადახდისათვის _____ მან. _____ კაპ.

სულ შეტანილია ნაღდ ფულად საქონლის მიღებისას _____ მან. _____ კაპ.

დანარჩენი თანხა _____ მან. _____ კაპ.
(აღინიშნოს სიტყვებით)

დამიკაოს _____
(იმ საწარმოს, ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, სადაც
მყიდველი მუშაობს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად თანაბარწილად ———————— მანეთის ოდენობით მთელი დავალიანების დაფარვამდე, ხელფასის გაცემის ვადების გათვალისწინებით 197—— წ. „ “ ———————————— დან.

ჩემი მისამართის და სამუშაო ადგილის გამოცვლას მე დაუყოვნებლივ ვაცნობებ მაღაზიას და ვკისრულობ მივცე დავალება-ვალდებულება ახალი სამუშაო ადგილის მიხედვით დარჩენილი დავალიანების დასაკავებლად.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოდან ან დაწესებულებიდან დათხოვნის შემდეგ მე გადავაცილებ ორი მორიგი შესატანის გადახდის ვადას, დაუფარავი დავალიანების მთელი თანხა, აგრეთვე საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში შეიძლება გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახდელების შეტანის ვადების დადგომის მიუხედავად.

მყიდველი ————————————————

(ხელმოწერა)

№ 39 ფორმის უკანა მხარე

იმ საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც ამ დავალების გამცემი პირი მუშაობს, მოვალეა დაუკავოს მას ხელფასიდან მორიგი გადასახდელების თანხები და გადარიცხოს ისინი _____
(სავაჭრო ორგანიზაციის

_____ ანგარიშზე № _____ სახელმწიფო
დასახელება)

ბანკის _____ განყოფილებაში აღნიშვნით: „მოქ. _____
_____ დავალიანების დასაფარავად საქონლისათვის, რომელიც მანნისიად იყიდა № _____ მაღაზიაში № _____ დავალება-ვალდებულებით“.

დავალება-ვალდებულების ხელმომწერმა წარადგინა _____
სერიის № _____ პასპორტი, რომელიც გაცემულია 19____წ.
„ “ _____ ქ. _____ მილიციის განყოფილების მიერ
და გაწერილია ქ. _____ მილიციის განყოფილებაში 19____წ.
„ “ _____ ქუჩა _____ სახლი № _____,
ბინა _____

მყიდველის დაბადების წელი და ადგილი _____

დირექტორი **უფროსი ბუღალტერი**

19____წ. „ “ _____ ტელეფონი _____

აღნიშვნები დაფარვის შესახებ

თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი	თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი	თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი

უფროსი ბუღალტერი _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4
ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეებისათვის
ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის
ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა № _____

ქალაქი _____ 197___წ. „ „ _____

მე, მოქ. _____ ,
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომელიც ვცხოვრობ _____ ში _____
(სრული საფოსტო მისამართი—ქალაქი,
რაიონი, დაბა)

ქუჩაზე, სახლი № _____ ბინა _____ და ვმუშაობ _____
(საწარმოს, ორგანიზაციის,

_____ , ვიყიდე მაღა-
დაწესებულების სრული დასახელება და მისი საფოსტო მისამართი)

ზიაში _____ ნისიად ფულის ნაწილ-
(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

ნაწილად გადახდით _____ თვით და მივიღე:
(საქონლის სრული დასახელება, არტიკული, მარკა და ა. შ.)

საქონლის საცალო ფასი _____ მან. _____ კაპ. საქონლის

მიღებისას ნაღდ ფულად გადახდილია საქონლის ღირებულების _____ %

_____ მან. _____ კაპ., ნაწილ-ნაწილად გადახდისათვის _____ %

მან. _____ კაპ.

საქონლის ღირებულების ნაშთი _____ ოდენობით

მოვალე ვარ გადავუხადო ზემოაღნიშნულ მაღაზიას ნაღდ ფულად ქვემოჩამოთვლილ ვადებში:

ფულის შეტანის თარიღი	თანხა	აღნიშვნა გადახდის შესახებ			
		თარიღი	თანხა	ხელმოწერა მიღებაზე	ვალის ნაშთი
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
197 წ. „ “		197 წ. „ “			
	სულ:		სულ:		

უკეთუ აღნიშნულ ვადებში არ დავფარავ დავალიანებას, ვკისრულობ გადავიხადო საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ გადავაცილებ ორი მორიგი შესატანის გადახდის ვადას, დაუფარავი დავალიანების მთელი თანხა შეიძლება გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახდელების ვადების დადგომის მიუხედავად.

ჩემი მისამართის ან სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ ვალდებული ვარ დაუყოვნებლივ ვაცნობო მაღაზიას.

ჩემ მიერ წარდგენილია ———— სერიის № ———— პასპორტი,

რომელიც გაცემულია ————
(ვის მიერ და როდის)

დაბადების წელი ————

მყიდველი ————
(ხელმოწერა)

ზემოაღნიშნული საქონელი ვალდებულებით მივიღე ————

საბუთები შევამოწმე, საქონელი გავეცი ————

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲜᲓᲔᲥᲡᲘ — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 за 1975 год

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-76 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი, 2,5. სააღრიცხვო თაბახი 2,5.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

შეკვეთა № 1239 უე 04004 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა